ADB ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში

N2025-023A
4 მარტი 2025

პატივცემული მინისტრი ლაშა ხუციშვილი
აზიის განვითარების ბანკში საქართველოს მმართველი
ფინანსთა სამინისტრო
ვ. გორგასლის ქ. №16, 0114
თბილისი, საქართველო

თემა: სესხის ნომერი 3524-GEO: მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი

– სასესხო შეთანხმების ცვლილება (ცვლილების შეთანხმება №2)

ძვირფასო პატივცემულო ლაშა ხუციშვილო,

1. ჩვენ ვგულისხმობთ საქართველოსა („მსესხებელი“) და აზიის განვითარების ბანკს („ADB“) შორის 2017 წლის 19 ივნისით დათარიღებულ სასესხო შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც შეცვლილია დღეის მდგომარეობით (“სასესხო შეთანხმება“). თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, ყველა გამოყენებულ განმარტებას, რომელიც აქვე არ არის განსაზღვრული, სასესხო შეთანხმებაში უნდა ჰქონდეს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა.

2. მსესხებლის 2023 წლის 27 ნოემბრით დათარიღებული მოთხოვნისა და 2024 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპასუხო წერილის საფუძველზე ADB-მა 2025 წლის 18 თებერვალს დაამტკიცა პროექტის ცვლილებები, რომელიც ეხება პროექტის შემადგენლობას. ცვლილებების ძალაში შესვლის მიზნით, ADB გთავაზობთ სასესხო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანას, როგორც ეს მითითებულია დანართში.

3. გარდა დანართში მოცემული ცვლილებებისა, სასესხო შეთანხმება უცვლელი რჩება.

4. ADB-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის (2018) ("AIP") შესაბამისად, ეს ცვლილების შეთანხმება №2 განთავსდება ADB-ის ვებ გვერდზე აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან 2 კვირის განმავლობაში, მას შემდეგ რაც წაიშლება მსესხებლის მიერ მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შედის AIP გამონაკლისებში.

5. გთხოვთ, დაგვიდასტუროთ მსესხებლის თანხმობა წინამდებარე დანართში მითითებულ ცვლილებაზე და ამ ცვლილების შეთანხმება №2-ის პირობებზე, ამ ცვლილების შეთანხმება №2-ის ორივე ორიგინალის ხელმოწერით ქვემოთ მითითებულ სივრცეში. გთხოვთ, შეინახოთ ამ ცვლილების შეთანხმება №2-ის ერთი ხელმოწერილი ორიგინალი თქვენი ჩანაწერისთვის და მეორე დაუბრუნოთ ADB-ს. წინამდებარე ცვლილების შეთანხმება №2 ძალაში შევა ADB-ს მიერ ამ ცვლილების შეთანხმება №2-ის მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ორიგინალის მიღებასთან ერთად მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელი ყველა სამართლებრივი პროცედურის შესრულების შეტყობინების შემდეგ.

პატივისცემით,

_____

ლესლი ბეარმან ლამი
ქვეყნის დირექტორი
ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში

აზიის განვითარების ბანკი
ადგილობრივი წარმომადგენლობა საქართველოში
ილია ჭავჭავაძის გამზირი 64ბ
0179 თბილისი საქართველო
ტელ: +995 32 225 0619
www.adb.org/georgia
adbgrm@adb.org

A. დადასტურებული და მიღებულია.

B. ვადასტურებ, რომ ეს ცვლილების შეთანხმება №2 არ მოიცავს ინფორმაციას, რომელზეც ვრცელდება AIP-ის გამონაკლისები.

საქართველოს სახელით:

სახელი: ბატონი ლაშა ხუციშვილი

თანამდებობა: მინისტრი, ფინანსთა სამინისტრო

თარიღი: 11 მარტი 2025

<u>**დანართი**</u>

სესხის ნომერი 3524-GEO: მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი

სასესხო შეთანხმების ცვლილება

სასესხო შეთანხმების დანართი 1, პუნქტი 2, წაიშალოს და მის ნაცვლად ჩაიწეროს შემდეგი:

„2. პროექტი გულისხმობს ძირულა-მოლითის (მარელისის რკინიგზის სადგური) დამაკავშირებელი დაახლოებით 25 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას, 2 ზოლიან ყველა ამინდზე გათვლილი სტანდარტების შესაბამის გზად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან და ხარაგაულისა და სხვა რკინიგზის სადგურებთან მოკლე მისასვლელი გზების ჩათვლით.“

REGISTRATION № 0077/1-25
DATE 11.03.2025
CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia